სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხოგამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

## მაჩხაანის მომხმარებელ საზოგადოების

დეპოს გამგეობა სთხოვს დეპოს წევრებს მობრძანდნენ ქვემო-მაჩხაანში აგვისტოს 2-ს, კვირას, დილის 8 საათზე, დეპოს ეზოში წლიურ კრებაზე დასასწრებლად.

საგანი კრებისა:

I. დეპოს ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

II. სხვა-და-სხვა ღონის-ძიებათა დასახელება დეპოს წევრთა და მუშტართა გამრავლებისათვის და თანხა-აღებ-მიცემობის გაძლიერებისათვის;

III. მომავალ წლისათვის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და სამოქმედო გეგმის განხილვა;

IV. შარშანდელ კრებისაგან აღმორჩეულ კომისიის დადგენილობათა მოსმენა და დამტკიცება.

V. გამგეობა-რევიზიის წევრთა აღმორჩევა;

VI. სოფლის მეურნეთა სხვა-და-სხვა ჭირნახულისათვის სამაზრო ამხანაგობათა დაარსების შესახებ ყველას აზრთა მოსმენა.

დეპოს გამგეობა { დ. ნადირაძე, დ. ჯავაშვილი, ი. გომელაური

(3—3)

პანსიონი და სასწავლებელი
ნ. დიდებულიძისა

გადავიდა ახალს სახლში, მიხეილის ქ. № 129, სადაც დებულობენ ყმაწვილებს მოსამზადებლად მეორე კლასამდინ და სრული ხარჯით პანსიონერებად. მორიგება შეიძლება პირათა და წერილით.
მოლაპარაკება შეიძლება დილით 10—2 საათ. და საღამოთი 5—7 საათ.

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს შირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—20)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ვ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ვ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. კ. ზერატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოვანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ვ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

უმაღლესი ბრძანება.

ტფილისისა და ქუთაისის მიხეილის სახელობის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკების წესდებებში შესატან ცვლილებათა შესახებ.

სახელმწიფო საბჭომ, სახელმწიფო ეკონომიისა, კანონებისა და სამოქალაქო და სასულიერო საქმეთა შეერთებულს დეპარტამენტებსა და საზოგადო კრებაზედ, განიხილა რა ფინანსთა მინისტრის მოხსენება ტფილისისა და ქუთაისის მიხეილის სახელობის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკების წესდებებში შესატან ცვლილებათა შესახებ, შემდეგი აზრი დაადგინა:

I, ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკების წევრთა საზოგადო კრებანი შეცვლილ იქმნას, რწმუნებულთა კრებანით, ამ საგნის შესახების წესების საფუძვლით, წესებისა, რომელიც დადგენილია საქალაქო საკრედიტო საზოგადოებათათვის (კანონთა კრებულის მე-XI ტ. მეორე ნაწ. საკრედიტო წესდ. მე-X განყ. მე-41 მუხ. პირველი სხილით გაგრძელება 1895 წ.), ისე კი: 1) ერთი ნახევარი რწმუნებულთა მთელის რიცხვისა ამორჩეულ იქმნას, ამა წესების თანახმად, თითოეულის ბანკის მსესხებელთაგან, ხოლო მეორე ნახევარი—ჯეროვან გუბერნიის თავად-აზნაურობის მიერ, სამის წლით, იმ საფუძვლით, რა საფუძვლითაც ირჩევენ მოხელეთ სამაზრო თანამდებობაზედ, ყოველ მაზრიდგან ის რიცხვი რა რიცხვსაც დაადგენს გუბერნიის თავად-აზნაურობის კრება და 2) გარეშეთ არავითარს შემთხვევაში არ მიეცეთ ნება რწმუნებულთა კრებაზედ დასწრებისა.

II, დაუბრუნდეთ ხსენებულ ბანკების დამფუძნებელთ მათ მიერ შეტანილი ფული ბანკების ძირის თანხათა შესადგენად ამა წესების დაცვით:

1) დამფუძნებელთა მიერ შეტანილ ფულის გარდასახდელად ძირის თანხებიდგან უნდა გადაიდოს ფული დამფუძნებლებთან საბოლოოდ ანგარიშის გასასწორებლად. ტფილისის ბანკის-მიერ—ეხლავე, რაც კი ფული დასჭირდება, ხოლო ქუთაისის ბანკის მიერ—იმ ანგარიშით, რომ დაურღვევლად იქმნას დატოვებული ბანკის წესდების მიერ აღნიშნული (§ 50) განსაზღვრული რაოდენობა გაცემულ გირავნოხის ფურცლებისა, რომელთა რიცხვიც ერთი ათზედ ძლიერ არ უნდა აღემატებოდეს ძირისა და სათადარიგო თანხების საერთო ჯამს. დანარჩენი გარდუხდელად დაშთენილი დამფუძნებელთა მიერ შეტანილი ფული ქუთაისის ბანკისა უნდა გარდახდილ იქმნას თანდათან ამა ბანკის მოგებიდგან.

2) ვადა დამფუძნებელთა კუთვნილ ფულის გარდასახადის დაწყებისა ამ თავით და შემდეგ თანდათანობით უნდა დადგენილ იქმნას ფინანსთა მინისტრის მიერ თითოეულის ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შეერთებულ კრებულის წარდგენილებისა თანახმად, ისე კი, რომ დამფუძნებელთ მათ მიერ ძირის თანხად შეტანილი ფული რიგით დაურიგდეთ და ჯერ ისინი იქმნენ დაკმაყოფილებულნი, რომელთაც ნაკლები წილი აქვთ შეტანილი.

3) ვიდრე დამფუძნებლებთან ანგარიშის გასწორებას შეუდგებიან, იმათის წესში უნდა იქმნას მოყვანილი მე-2 პუნქტ. აღნიშნულ კრებულის მიერ, რომელსაც უნდა თავმჯდომარეობდეს, კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთა-

გარ-მართებლის მიერ, ფინანსთა მინისტრთან მორიგებით, დანიშნული კაცი, ისე კი, რომ იმავე კრებულმა გამოარკვიოს, რომელს დამფუძნებელს რა ნაწილი ეკუთვნის ძირის თანხაში.

სხოლიო. ბანკის დამფუძნებელ წევრთა კუთვნილი უფლებანი უქმდება ეხლავე, მათ მიერ ძირის თანხაში შეტანილ ფულის დაბრუნებამდე, ხოლო ტფილისის ბანკში კი დამფუძნებელთ დროებითი შესატანი, მათ მიერ გატანილ სესხში იმ რაოდენობისავე უნდა გარდაიხადონ სესხის ვადის გასვლამდე, რა რაოდენობასასაც ეხლა იხდიან.

III. ფინანსთა მინისტრს მიენდოს, რომ მან თავისის უფლებით შემოიღოს ხსენებულ ბანკთა წესდებებში ცვლილებანი და დამატებანი; რომელთაც საჭიროდ ჰპოვებს ამა I და II განყოფილებაში აღნიშნული დადგენილებანი.

მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ სახელმწიფო საბჭოს ესე აღნიშნულ აზრის დამტკიცება უმაღლესად კეთილ ინება, 1898 წლის 25 მაისს, და მისი აღსრულება ჰბრძანა.

# ახალი ამბავი

⁂ ახალი ტრაგედია. ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენი სასიქადულო მგოსანი თავადი ილია ჭავჭავაძე მალე შეჰმატებს ქართულ მწერლობას ახალს ნაწარმოებს. ეს იქნება ტრაღედია ლექსად უძველეს საქართველოს ცხოვრებიდან.

⁂ მილიონერმა კ. ზუბალაშვილმა მიჰმართა თავად-აზნაურობის მამულის მმართველობას შემდეგის წინადადებით: თუ შეელევით გასასყიდათ თავად-აზნაურობის ქარვასლას (არწრუნისეულს) ვიყიდით და ერთ მილიონ ორასი ათას მანეთს მოგართმევთო. 300,000 მან. გადავდებ ახლავე ქარვასლის სრულიად გადასაკეთებლად და გასაახლებლადაო. აქედან სჩანს, რომ კ. ზუბალაშვილი ამ ქარვასლისათვის მილიონ ნახევარ მანეთის გამოღებას აპირებს.

⁂ შემოწირულება მცხეთის ტაძრისათვის. მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა ფლავიანემ დაამტკიცა დადგენილება მცხეთის ეკლესიის განსაახლებლად შემდგარ კომიტეტისა იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა ქალაქსა და ალაგას გაიგზავნოს შემოწირულებათა შესაკრებად ტფილისის დიდუბის ეკკლესიის წინამძღვარი ცინცაძე და ყარსის ოლქის ბლაღოჩინ-მღვდელი კომარი.

⁂ ეგზარხოსის ჩამობრძანება. მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლავიანე აგვისტოს 7-ს მარტყოფის მამა ანტონის მონასტრიდგან ტფილისს დაბრუნდება.

⁂ ეგუმენ-სამღვდელო კირიონის ხელდასხმა. არქიმანდრიტის მამა კირიონისა ეპისკოპოსად ხელდასხმის დასასწრებლად მოწვეულნი არიან ტფილისში მათი ყოვლად-უსამღვდელოესობა ალექსანდრე, ეპისკოპოსი გურიისა და სამეგრელოსი, და ბესარიონი, იმერეთის ეპისკოპოსი, რომელნიც თანამწირველნი იქნებიან 23 აგვისტოს მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის ფლავიანისა და გორის ეპისკოპოსის ლეონიდთან ერთად.

⁂ ხალხის ჯანმთელობის სამინისტრო. მთელი რუსეთის ექიმთა კრების გამგეობასთან დაარსდა საგანგებო კომისია იმ კითხვის გამოსარკვევად, შესაძლებელია თუ არა დაარსებულ იქმნეს რუსეთში ხალხის ტან-მთელობის სამინისტრო.

⁂ პოლიტეხნიკუმის საქმე კავკასიაში. გაზ. „ჩერნ. ვ.“-ს ხარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ კავკასიაში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმე სრულიად გაუქმებულია, ხოლო მის ნაცვლად განზრახულია უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლის დაარსება.

⁂ ახალი ადმინისტრაცია. ჩვენ გვატყობინებენ ზესტაფონიდან, რომ მაზრის ყველა ძველი მოსამსახურე პირები დაცვალეს და ეხლა ახლებია. ძველი მაზრის უფროსის ბ. ჯაყელის მაგივრად ნეტკაჩევა დანიშნული, მის თანაშემწე ბ. ალავიძის მაგივრად, ბ. გამრეკელია და ადგილობრივ ბოქაულის ბ. წერეთლის მაგიერ—ბ. ჩარკვიანია.

⁂ ქ. ოზურგეთი. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ გურულები სწავლა-განათლებას; რაც უნდა ღარიბ-ღატაკი გურული იყოს, სწავლაზე და შვილის სკოლაში მიბარებაზე უარს ვერ ათქმევინებ. ამას თვალ-ნათლად გვიმტკიცებენ ყოველ სოფელში თითო-ოროლა სკოლები თავისი ბიბლიოთეკებით და აგრეთვე სტატისტიკური ცნობები, სადაც აღნიშნულია, რომ მთელ საქართველოში პირველი ადგილი სწავლა-განათლების მხრივ უჭირავს გურიას. თვით ქალაქ ოზურგეთშიაც არის დაარსებული 6—7 სხვა და სხვა ტიპის ქალ-ვაჟთა სასწავლებლები, და ამას რომ არ დასჯერდნენ, გარდასწყვიტეს ერთხმათ სავაჟო პროგიმნაზიის დაარსება, რომ სწავლის მწყურვალე ღარიბ გურულს შეეძლოს აქვე დასრულების შემდეგ, განაგრძოს სწავლა სხვა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

ამ საქმის დასამთავრებლად, რომელსაც მთელი გურია განურჩევლად წოდებისა და შეძლებისა, უსაჭიროესს საგნათ სთვლის, წასულია პეტერბურგში ქალაქის მოურავი თავ. ნ. თავდგირიძე, და იმედიც გვაქვს, ამ საშვილი-შვილო საქმის კეთილ-ნაყოფიერათ შესრულებით დაუვიწყარ სახელს დაიმსახურებს საზოგადოების წინაშე. თუმცა გურულები ასე მოწყურებულნი არიან სწავლას, მაგრამ აქაც ისედაც შუამდის ჩატეხილი ხიდი სულ ერთიანად უტყდებათ და ვარდებიან ისეთ მორევში, რომლიდან ამოყვანა საძნელო და საეჭვოა. მე მოგახსენებთ, ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში სწავლისათვის გარდასახად ფულის მომატების შესახებ, ჯერ იმ გაჭირვებულთ, რომელთაც სიღარიბის გამო ფული ვერ შეჰქონდათ თავის დროზედ და ამიტომ იძულებულნი იყვნენ დროებით, სანამ ფულებს იშოვნიდნენ, სწავლისათვის თავი დაენებებინათ, ან სახელმძღვანელოს უქონლობის გამო თავის ამხანაგებს უკან ჩამორჩენოდა, დღეს ამათ დამწვარზე მდუღარე გადაუსხეს და 12 მანეთი 16 მან. გაუხადეს.

— სწავლის მიღების საშუალება. რადგანაც მოსწავლე გურულებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მინდა დაუხატო მკითხველს მოკლეთ, თუ რა საშუალებით ახერხებენ სწავლის მიღებას ღარიბი გურულები და-ბა-სოფლებში. ჩემს მასწავლებლათ მყოფობის დროს, ერთ მახლობელ სოფელში აი რა საშუალებით ყიდულობდნენ ღარიბის შვილები სასწავლო ნივთებს: ნაშუადღევს, სწავლის შემდეგ ან საღამო ხანს პატარა სოფლის სკოლის მოწაფე, თავის დედ-მამის ნებართვით, წამოიღებდა შინიდგან მჭადის ფქვილს, სიმინდს, თაფლს, ყველს, ნიგოზს, რაც ექნებოდა სახლში, მოიტანდა დუქანზე ვაჭართან (იქავე სოფელში), რომელსაც ჰქონდა გასასყიდათ მოტანილი რუსულ-ქართულ წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები. ეს ვაჭარი გამოართმევდა მოწაფეს სანოვაგეს და რაც ეღირებოდა ყმაწვილის საქონელი, იმისი ფასით მისცემდა მას წიგნს, გრიფელს, დაფას, ყარანდაშს, რვეულს და სხ... ასე და ამ გვარათ ფულების მაგიერათ პირდაპირ საქონლის გაცვლა წარმოებდა სოფელში. ოზურგეთის ღარიბ მოწაფეების (სოფლელების) მდგომარეობა უფრო სხვა ნაირი იყო. ზოგნი პირდაპირ სოფლიდან დადიოდნენ 8—10 ვერსის მანძილზე სახლიდან. ეს ყმაწვილები ნაკლასევს, ვინც ერთი სოფლის იყო, ერთად გაუდგებოდნენ ხოლმე სოფლისაკენ. გზაში გადაუხვევდნენ მდინარისაკენ და იქ ხელებით იჭერდნენ პატარა თევზებს, მეორე დილას წამოიღებდნენ თევზსა ურმით შეშას, მაყვალსა და ძალიან ადრე გაყიდდნენ ბაზარში და ანაღებ ფულებით წიგნებს და სხვა ნივთებს ყიდულობდნენ. ამათზე უარესს ყოფაში იყო ჩავარდნილი ის ღარიბი მოსწავლე, რომელიც სოფელზე ძალიან დაშორებული იყო და არც შეეძლია ქალაქში ოთახის დაქირავება. ისინი მონახვიდნენ ქალაქ გარეთ სადმე ცარიელ ადგილს, და ადგილის პატრონის ნება რთვით,ააშენებდნენ ზედ წნელის ფაცხას, რომელსაც დახურავდნენ ისლით, შიგ საწოლათ და ქვეშ საგების გასაშლელად ჩელტას დალობავდნენ და დაწვებოდნენ ფაცხაში. შეშას კი ტყეში აგროვებდნენ, უფრო ნაღობარს, როდესაც ყანები გაიშლებოდნენ, მჭადის ფქვილი და ლობიო, ან ყველი სახლიდან დაჰქონდათ ყოველ კვირაუქმე დღეებში, როდესაც სახლში წავიდოდნენ. სადილს რიგ-რიგათ აკეთებდნენ; თუ ვინიცობაა, რომელიმე უფრო ადრე მოვიდოდა, მაშინ ის გამოაცხობდა მჭადს. ღამით ნავთის მაგიერათ სოფლიდან ჩამოტანილ კვარს უკიდებდნენ და იმის სინათლეზე ამზადებდნენ გაკვეთილებს. დილით კი ფაცხა ხის ურდულით დაიკეტებოდა, სანამ არ დაბრუნდებოდა სასწავლებლიდან ერთი მათგანი. აი ასე საცოდავად და ტანჯვით სწავლულობდნენ და სწავლულობენ გურიაში მოწაფეები, და ეხლა თქვენ წარმოიდგინეთ, საიდან შეიძლებენ ისინი 16 მან. გადახდას. ამის გამო შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა სრულიად მიატოვოს სწავლა. დღესაც ბევრი ვიცი ისეთი ყმაწვილები, რომელთაც ორი წელიწადს უვლიათ სკოლაში და შემდეგ კი „კლასის ფულის“ შეუტანლობისა გამო სკოლისთვის თავი დაუნებებიათ. იმედია ოზურგეთის გულ შემატკივარი ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი ამხანაგობა ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს, სწავლას განაგრძობინებს საწყალ ღარიბ-ობოლ მოსწავლეებს და არ გამოუკეტავენ მათ სამუდამოთ სასწავლებლის კარებს.

თ. გურული

⁂ ს. ტირძნისი (ქართლი). სამეურნეო ცოდნის წყურვილი. ჩვენი სოფლის სკოლა თითქმის ერთი წელიწადია, რაც გადაკეთდა ოთხ-კლასიანად, მეორე ხარისხისა. წელს ექვსი ყმაწვილი გადავიდა

მესამე კლასში. ეს ახალგაზდები თითქმის სულ მთის მეცადინეობები არიან და ძალიანაც ხალისიანათ ეკიდებიან თავიანთ საქმეს. სკოლას პანსიონიც აქვს და ჰყავს ოთხი მასწავლებელი, მღ. ს. კასრაძის გარდა, რომელსაც სკოლის ცხოვრება აბარია და სამღვთო სჯულსაც ასწავლის. ამ სკოლას აქაურმა მებატონემ სკოლების საპატიო მზრუნველმა, შესწირა ეკკლესიის წინ შიგ შუა სოფელში დიდი ნაჭერი მიწა კარგა მოზრდილის ვენახით. შენობაც დაამთავრეს და სწავლაც თავის რიგზე დააყენეს. უმაღლესი სინოდის განკარგულებით ყოველ მაზრაში ამისთანა სასწავლებელი ორი უნდა იყოს. სასწავლებელს უნდა ჰქონდეს სამეურნეო განყოფილებაც უთუოდ. ჩვენი საზოგადოება მოელის ამ განყოფილების გახსნას, მაგრამ ვერ ეღირსა დღემდის და სულ მოლოდინში ვატარებთ დროს, თუმცა დაგვპირდნენ მალე გავხსნითო. ისიც უნდა დაუმატო, რომ სამეურნეო განყოფილების გახსნაზე ყველაფერი ხელს გვიწყობს: მშვენიერი მიწა, მშვენიერი ვენახი, კარგი წყალი, ჰაერი და მრავალი შეგირდები, რომელთაც სურთ მეურნეობა შეისწავლონ და თავის მიწა წყალს მოუარონ. იმედია, მალე გაგვიხორციელებენ ამ სასარგებლო საქმეს.

— **უხიდობა.** სამ წელზე მეტია, რაც ჩვენი პატარა ლიახვის ხიდი წყალ-დიდობამ დააზარალა. მის შეკეთებას დიდი არა უნდა რა: ხე-ტყეს, როცა უნდათ მებატონეები მოთხოვნისამებრ შესწირავენ, დურგლები და მუშები მზათ არიან მოეხმარონ. ყიდვა მოუნდება ცოტაოდენ რკინეულობას და ლურსმანს, რის ფულიც დღესვე შეკრებილი არის და მაზრის უფროსს აქვს ჩაბარებული. გვაკლია მარტო მოთავე და ბრძანების გაცემა. ამ ხიდზედ მოგზაურობს მთელი ცხინვალის, ჯავის და როკის ხეობები. იმედია ამ საჭირო ხიდს მალე აღადგენენ და გაგვიადვილებენ მოძრაობას ამ ყოველ დღე საჭირო გორის გზაზედ.

ტირძნისელი

*** **თელავი.** მელ. ბალანჩივაძის კონცერტი. 23 ივლისს თელავის სამოქალაქო კლუბში ბ-ნ მელ. ბალანჩივაძისაგან დანიშნული იყო კონცერტი, რომლის გულისთვისაც თფილისიდამ მოიწვია ქ-ნი სარაჯიშვილისა. გაიგეს თუ არა თელაველებმა, რომ ბ. ბალანჩივაძემ კონცერტი უნდა გამართოსო, სიხარულით მიეგებნენ ამ ამბავს და დაიბეჭდა თუ არა ბილეთები, ყველამ ერთის კვირის წინად იყიდა. 23 საღამოთი, მიუხედავად იმისა, რომ ავდრიანი დღე იყო და განუწყვეტლივ ჟინჟლავდა, 7 საათიდამ დაიწყო ხალხმა დენა და 8 საათზე დარბაზში ჭდევა აღარ იყო. ბევრმა თუმცა ბილეთები ვიყიდეთ, მაგრამ დერეფანში მოგვიხდა დადგომა და იქიდამ უგდებდით ყურს. დარბაზში სცენის მაგივრად პატარა ამაღლებული იატაკი იყო უფარდოთ; კონცერტის პროგრამა შეიცვალა ორ განყოფილებად, თითო განყოფილებაში ექვსი სიმღერა იყო. 9 საათზე გამოვიდნენ სცენაზე ქართულ ჩოხებში მშვენივრად გამოწყობილი ყმაწვილ-კაცები, ხუთიოდეს-კი „სტატსკურად“ ეცვათ და დაიწყო კონცერტი. ორკესტრთმა ცოტათიც იკოჭლა. „ნანა“ შეასრულა ქ-ნმა სარაჯიშვილისამ და თავისი მშვენიერის ხმით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა და მიტომაც რამდენჯერმე სთხოვეს განმეორება. ამ სიმღერის დროს უმცროსი და სარაჯიშვილისა როიალზე უკრავდა დიდის გემოვნებით. „ლილე“ სვანეთური, „ფაცხა“ და „გოგონა“ სათამაშო ხორომ და ორკესტრმა კარგათ შეასრულეს ხოლო „გოგონა“ ძრიელ მოიწონა საზოგადოებამ და რამდენჯერმე გაამეორებინა. მეორე განყოფილება პირველზედ უკეთ შეასრულეს. განსაკუთრებით „კუჩხა ბედნიერი“ მეგრული, „ნეტავი გოგო“ კახური და „გაზაფხული“ იმერული; აგრეთვე კარგათ შეასრულა ქართული რომანსი ბ. შიუკაშვილმა ბ. ბალანჩივაძის აკომპანიმენტით, ტაშის კვრით და ვაშას ძახილით ერთხელ კიდევ გაამეორებინეს. „ტყემ მოისხა ფოთოლი“ ილ. ჭავჭავაძისა ქ-მა სარაჯიშვილისამ და ბ. შიუკაშვილმა ისეთის გემოვნებით შეასრულეს, რომ საზოგადოების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. „სამშობლო ხევსურისა“ თ. რ. ერისთავისა ხორომ ისე მშვენივრად იმღერა, რომ ამის დავიწყება თელაველებს არ შეეგვიძლიან და მეორედაც გავამეორებინეთ. სულ ბოლოს საზოგადოების თხოვნით ერთხელ კიდევ გაიმეორეს „გოგონა“. ერთი სიტყვით კონცერტმა მეტად მწყობრად ჩაიარა და საზოგადოება დიდის მადლობით დაიშალა 11 საათზე.

თელაველი

# თეატრის მატიანე

—

**ს. ჯიხაიში.** ქუთაისის ამხ. წარმოდგენა. აგერ თითქმის ერთი თვეა მთელი სოფელს მოედო სასიხარულო ამბავი, ყველანი გაიძახოდნენ: „მადლობა ღმერთს, გვეღირსა მოდის ჩვენში ქუთაისის „ტრუპპა“ და მას წინ მოუძღვის სცენის ვარსკვლავი ბ. ალექსი-მესხიშვილიო“. შეიქნა მზადება დანიშნულ ამ თვის 26 რიცხვისთვის, ახალი კაბების კერვა, ფულების გროვება და ვინ იცის კიდევ რა. მართლაც ყველასათვის სასიამოვნოა ბ. მესხიშვილის სცენაზე დანახვა; მხოლოთ როდესაც ვარსკვლავს მქრთალი ღრუბელი მიეფარება, მაშინ იგი ბჟუტავს და სხივიც ეკარგება; ვარსკვლავს თუ გარშემო მხოლოდ ბნელი და მისი სხივების გაფანტვის დამშლელი ჰყავს შემოხვეული, მოგახსენეთ ის ვარსკვლავი ბჟუტავს და არა ბრწყინავს. თუმცა ჯიხაიში მართლა მობრძანდება ბ. მესხიშვილი, მაგრამ ის განცხადება, რომ ქუთაისის დრამატიული დასის ამხანაგობა თან ახლავსო, ტყუილი გამოდგა. ქუთაისის სცენის სიმშვენიერეს შემდეგ მესხიშვილისა შეადგენენ: ქ ივანიძე, ბ. ბალანჩივაძე და ორი ახალგაზდანი, რომლებისაგან ბევრს მოველით მომავალში და ახლაც მთელი საზოგადოება სიამოვნებით შესცქერის ქ. ჩხეიძე და ბ. დ. ჩარკვიანი. გამოაკლე ეს ოთხი პირი ამხანაგობას, ვინღა დაგრჩათ? ეს ორი ქალი და ეს ორი ყმაწვილები შეადგენენ ძალას ჩვენი საცოდავი ღარიბი ქუთაისის სცენისას. ჯიხაიში კი „და-ძმას“ სდგამენ. მართალია, მშვენიერი იქნება ბ. მესხიშვილი გაიოზის როლში, მაგრამ მარინე, გადია, ოტია და სხვა?... როგორც ამბობენ მარინეს თამაშობს გვეტაძის ქალი, ამ როლის თამაშობა გვიკვირდა, რომ ჩხეიძის ქალმა იკისრა ამას წინეთ. გვეტაძის ქალი კი სხვა მიზეზებიც რომ არ იყოს და ყველაფერი სიბნელით დავაფაროთ, ორი დღეა სცენაზე გამოსულია; მაგის საქმეა ვარდოს როლი, ადვილ ვოდევილში: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“, მაგრამ მარინეს?. მიკვირს რათ ნებულობს ბ. მესხიშვილი ქართული სცენის დამცირებას? მარინე უნდა ათამაშოს ისეთ ქალს, რომელმაც არა თუ ტალანტი, არამედ წერა კითხვა არ იცის და ბატონი ტეატრი თავის სიცოცხლეშიაც არ უნახავს; ეს ბ. თამაზიშვილმა, რომელიც ხშირად ესტუმრება ჩვენ სოფლებს და დაბებს ხოლმე, ჩაიდინოს არ ეძრახება. რას მივაწეროთ ის, რომ ზემოხსენებული პირები არ იღებენ მონაწილეობას ჩვენ სოფელში, ან რათ არის აფიშაში: „ქუთაისის დრამატიული დასის ამხანაგობის მონაწილეობით“ გამოცხადებული? ნუ თუ უკმაყოფილება აქვთ ერთმანეთში? ვერ დავიჯერებ, რადგანაც ქუთაისის ამხანაგობა ბ. მესხიშვილს ხელით ატარებდა, აღმერთებდა, მისი სიტყვა მათთვის კანონი იყო, მათთან ვინ გაბედავს მათი სათაყვანო რეჟისსორის დაძრახვას; ჯილდო დაიწუნეს, ფულის ანგარიშში ვერ მორიგდნენ? ვერც მაგას დავიჯერებ; ამიტომ რომ 1) ეს წარმოდგენა იმართება ერთი ღარიბი სტუდენტის სასარგებლოთ და 2) რომ კარგათ ვიცი ამას წინათ მთელი დასი ახალ-სენაკში იყო ორი წარმოდგენით; ბ. მესხიშვილს მთელი ამხანაგობა 120 მანეთათ დაუჯდა და თვითონ კი 700 მ. დარჩა, მე გამიკვირდა რომ ამხანაგობამ არა თუ დაიწუნა ეს მცირე ჯილდო, არამედ მოხარულიც იყო, რომ მესხიშვილს ერგო კარგა ბლომათ. თუმცა ხშირათ კაცი არ აფასებს, არათ აგდებს ხოლმე მას, ვისაც იგი უყვარს და აღმერთებს, ამბობენ: ეს მაინც ჩემიაო, მაგას როგორც მინდა ისე წავიყვან-წამოვიყვანო; მაგრამ ბ. მესხიშვილს ვურჩევდი ამ კარგათ დაწყობილ ამხანაგობის საქმეს უფრო გულით მოჰკიდოს ხელი, რადგანაც მარტო თავის გამოჩენა და მე, მეოს ძახილი არ არის საკმარისი; ხალხს აჩვენოს კარგი თამაშობა და მით შეაყვაროს, მარტო თავისი თავი კი არა, ქართული სცენა. ნუ მიიყვანს საქმეს იმ ზომაზე, რაც წარსულ სეზონში იყო კომისიასთან და მსახიობებთან.

ბარი

## ყურმოკრული საუბარი

—

ბისმარკიანი. ოცი წლის ბისმარკი მსახურებდა ბერლინის სამსჯავროში, მცირე მოხელის თანამდებობაზე. ერთხელ საქმის გარემოების გამოკითხვაში, ვიღაც ბერლინელი ძალიან მკვახე და უზრდელ პასუხებს იძლეოდა.

ბისმარკი გაბრაზდა და შეამჩნია:

— ილაპარაკეთ თავაზიანად, თორემ კისრის ტეხით გაგაგდებთ აქედან.

მოსამართლე იქვე იჯდა და მოუბრუნდა ბისმარკს.

— ბატონო, ბისმარკო, თქვენს უფლებას აზვიადებთ, აქედან გაგდების უფლება ჩემ ხელთ არის და სხვას არავის შეუძლია.

ამის შემდეგ იმ ბერნიდელმა კიდევ განაგრძო თავისი მკვახე ლაპარაკი, მაშინ ბისმარკი წამოხტა ფეხზე და მეხის მზგავსი ხმით შესძახა.

— თუ არ გაჩუმებულხარ, მოსამართლეს გავაგდებინებ შენს თავს აქედან კისრის ტეხვითა!..

—

1851 წელს ბისმარკი ფრანფურტში იყო ელჩად... სეიმის პრეზიდენტთან გრაფ ტუნთან მივიდა სადარბაზოდ.

გრაფი თავის კაბინეტში იჯდა, და სერთუკი არ ეცვა, ისე მიიღო.

— ოჰ, გრაფ! ეგ ძალიან კარგი გაფიქრიათ, ამ სიცხეში, სერთუკის გახ-

და,—უთხრა ბისმარკმა და თითონაც გაიხსნა სერთუკის ღილები.

ტუნი დარცხვენილი, მოითხოვს ბოდიშს და გაფაციცებით ჩაიცვამს სერთუკს.

—

ერთხელ ერთი მოქალაქე ქუჩაზე ცუდათ ახსენებდა პრუსიის ჯარის-კაცებს, დაიჭირეს მხედრებმა და უნდოდათ კარგა ეცემნათ. მოქალაქემ ყვირილი შექნა. ბისმარკი ამ ამბავს წაასწრდა...

— რა ამბავია.

— ეს კაცი პრუსიას ლანძღავს, უნდა დავსაჯოთ!..

— ტყუილია, ჰყვიროდა მოქალაქე, მე ბისმარკი გავლანძღე და არა პრუსსია.

— გაუშვით ჩქარა, ეგ ხომ პირველი არ არის—ბისმარკს ყველა ლანძღავს...

# წვრილი ამბავი

—

ცოცხლივ დამარხული. სოფ. მოკრეჟში, ჩენსტოხოვის მაზრაში (პოლონეთი), ხუთი წლის ბავშვი იატაკზე იჯდა და რაღაცას სჭამდა. უცებ ქოხში შემოდის ხბო, ბალღს მეტისმეტად შეეშინდება, გული მისდის და იწყებს თრთოლას. შემოვარდება დედა, სტაცებს ბავშვს ხელს და ჰყვირის, მიშველეთო, მაგრამ ამაოდ. ბავშვი ჰკვდება დედის ხელებზე. რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვს ასაფლავებდნენ. ის იყო კუბო საფლავში ჩაუშვეს და უცებ მოისმა ყვირილი. დამსწრენი შეჰკრთნენ, ერთ წუთს ახადეს კუბოს თავი და გამოვიდა კუბოდან სრულიად ჯანსაღი ბავშვი და სხვასთან ერთად შინისკენ გზას გაუდგა.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

29 ივლისი.

**ტომსკი.** ირკუტსკის პირველი ტვირთის მატარებელი მოვიდა.

**ნიუ-იორკი.** მანილიიდგან ცნობაა მიღებული, რომ 31 ივლისს 3,000 ესპანიელი დაეცა ამერიკელთა ბანაკს მანილიასთან. ესპანიელები უკუ-ქცეულ იქმნენ და დიდი ზარალიც მოუვიდათ. მეამბოხენი არ გარეულან ამ ბრძოლაში. „Jurnal“-ლიც იუწყება ამ თავდასხმის ამბავს და თან დასძენს, რომ ესპანიელთა შორის 200 მოკლულია და 300 დაჭრილიაო. ამერიკელთა შორის მოკლულია 2, დაჭრილი 44.

**ცეტინიე.** ბოლგარიის მთავრის პატივსაცემლად ტაძარში სადღესასწაულო ღვთის მსახურება იქმნა გარდახდილი უმაღლესთა გვამთა და მოხელეთა თანადასწრებით. საპატიო სადილის დროს მთავარმა ნიკოლოოზმა სადღეგრძელო წარმოსთქვა და განაცხადა, რომ დიდათ მიხარის ჩემის ძმის—მთავრის მოსვლა, რომელსაც დიდხანს ველოდი და რომელიც რუსეთის ნახვის შემდეგ მე მესტუმრაო. ჩერნოგორია და ბოლგარია, შეერთებულნი საერთო კავშირით, ერთად, თანახმად უნდა მოქმედებდნენ. შემდეგ მთავარმა ნიკოლოოზმა მთავრის ფერდინანდის სადღეგრძელო დალია. მთავარმა ბოლგარიისამ უპასუხა, რომ ჩემმა საკუთარმა სურვილმა და მოვალეობამ მომიყვანა ამ გმირ ხალხთან, რომელთანაც ბოლგარია შეერთებულია ეროვნულის კავშირითა და სარწმუნოებითაო. საერთო მოვალეობის გარდასახდელად მკიდრო მეგობრობაა აუცილებლად საჭირო. დასასრულ მთავარმა ფერდინანდმა დალია მთავარის ნიკოლოოზის სადღეგრძელო.

## განცხადებანი


ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкальное депо

Б. М. Мириманіана

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—38)



საზღვევი საზოგადოება

„იაკორი“

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო

დებულობს

დაზღვევას ცეხლისაგან

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

Страховое Общество „ЯКОРЬ“

Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

Принимаетъ: 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева

на углу Эриванской пл д. кн. Цициiанова № 2. (50—33)



ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება ტფილისში, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი ინსპექტორი ნაკოლაჩ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. „УРБЭНЪ“

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.

(50—18)



КЪ ВОПРОСУ

О ПОДНЯТІИ ОБРАЗОВАНІЯ СРЕДИ ГРУЗИНСКАГО ДВОРЯНСТВА

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს და ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 16 კაპიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულ მაღაზიას. (6—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია